გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა ელექტრონული რეგისტრაციისა და განცხადების შევსების ინსტრუქცია

განცხადებები მიიღება მხოლოდ ონლაინ რეჟიმში (http://socreg.mes.gov.ge/)

ყურადღება!!! 2024-2025 სასწავლო წლის სწავლის საფასურით დაფინანსებისთვის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაცია უნდა გაიაროს და განცხადება წარადგინოს როგორც იმ სტუდენტებმა, რომლებიც პირველად ერთვებიან აღნიშნულ პროგრამაში, ასევე სტუდენტებმა რომლებიც წინა წლებშიც ფინანსდებოდნენ ამ პროგრამის ფარგლებში ან სარგებლობენ სახელმწიფო დაფინანასებით (სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრო გრანტით, მათ შორის სოციალური პროგრამის ფარგლებში) და სწავლობენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის სიხლოვეს არსებულ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

ელექტრონული რეგისტრაციის გვერდზე შესასვლელად ბრაუზერში აკრიფეთ მისამართი: (http://socreg.mes.gov.ge/) ან ისარგებლეთ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ბანერით
https://mes.gov.ge/content.php?id=13192&lang=geo

1. რეგისტრაცია

1.1 დააჭირეთ ღილაკს: „რეგისტრაცია“
1.2 შეავსეთ ყველა სავალდებულო ველი, გაეცანით ბრძანებას პროგრამის დამტკიცების შესახებ და დაეთანხმეთ რეგისტრაციისათვის აუცილებელ პირობებს



1.3 რეგისტრაციის დასრულებისათვის უნდა დადასტურდეს ტელეფონის ნომრის სიზუსტე. შესაბამისად, თქვენ მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე მიიღებთ უნიკალურ კოდს, რომელიც უნდა შეიყვანოთ პორტალზე.



განმცხადებლის მიერ რეგისტრაციის დროს მითითებული საკონტაქტო ტელეფონის ნომრის ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართის შეცვლის შემთხვევაში, განმცხადებელი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ, წერილობით მიაწოდოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

1.4 რეგისტრაციის გავლის შემდგომ, თქვენ მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე მიიღებთ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას - ,,თქვენ წარმატებით გაიარეთ რეგისტრაცია, გთხოვთ გადახვიდეთ განცხადების შევსებაზე“

რეგისტრაციის გავლა არ ნიშნავს განცხადების წარდგენას, რეგისტრაციის გავლის შემდეგ, აუცილებელად უნდა გადახვიდეთ განცხადების შევსებაზე.

2. განცხადების შევსება

ელექტრონულ განცხადებას ავსებენ სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

2.1 დააჭირეთ ღილაკს: „შესვლა“ ;

2.2 თქვენი პირადი ნომრით და პაროლით შედით სისტემაში;

განმცხადებელი, რომლის პირადი ნომერი არ ფიქსირდება რეესტრში, ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, მიმართავს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.

გვერდზე შესვლის შემდგომ გაჩნდება ფანჯარა



2.3 აირჩით თქვენთვის შესაბამისი მუნიციპალიტეტი და ჩაწერეთ სოფელი;

2.4 მონიშნეთ უნივერსიტეტი, სადაც გსურთ სწავლის საფასურით დაფინანსება (2 ან მეტ უნივერსიტეტში სწავლის შემთხვევაში);



2.5 დააჭირეთ ღილაკს: „გაგზავნა“, რის შემდეგაც მითითებულ ტელეფონის ნომერზე მიიღებთ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას - „განცხადება წარდგენილია“.



3. განცხადების რედაქტირება/შესწორება

3.1 განცხადების რედაქტირება/შესწორება შესაძლებელია განცხადების წარდგენის ვადის დასრულებამდე, დააჭირეთ ღილაკს - „შესწორება“.

ყურადღება

შემოდგომის სემესტრის დაფინანსებისთვის, სტუდენტს 2024 წლის პირველი ნოემბრის (ბაკალავრი) ან 15 ნოემბრის (მაგისტრი) მდგომარეობით, უნდა ჰქონდეს აქტიური სტუდენტის სტატუსი;
გაზაფხულის სემესტრის დაფინანსებისთვის, სტუდენტს 2025 წლის 1 აპრილის მდგომარეობით (ბაკალავრი/მაგისტრი) უნდა ჰქონდეს აქტიური სტუდენტის სტატუსი;

4. პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მოპოვების ან ვერმოპოვების შესახებ ინფორმაცია გაიგზავნება რეგისტრაციისას მითითებულ ტელეფონის ნომრებზე:

ა) თქვენ განცხადება დაკმაყოფილდა

ბ) თქვენ განცხადება არ დაკმაყოფილდა

გისურვებთ წარმატებას!